

## ლირიკული თანხვედრანი მსოფლიო პოეზიაში

ეკა ვარდოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.10>

ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, გათვალისწინება პარალელური მოტივებისა. ამით ჩვენ გავარკვევთ ნაციონალური მწერლობის ზოგიერთ წყაროსაც.

1828 წელს დაწერა მიცკევიჩმა „ფარისი“. მიჩნეულია, რომ „ფარისი“ იყო ბარათაშვილისათვის შთაგონების ერთ-ერთი წყარო, როდესაც იგი თავის „მერანს“ წერდა. გარდა საერთო კულტურული ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. „ფარისის“ გავლენითაა ასევე დაწერილი ცნობილი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის პოეტური ქმნილება „მერანი“ „ფარისის“ თემაზე შექმნილ ლირიკულ ნიმუშებად შეგვიძლია ასევე მივიჩნიოთ რენე ფრანსუა არმან სიული პრიუდომის „ჭენება“, ვაჟა-ფშაველას „ლურჯა“ და ჰაინრიხ ჰაინეს უსათაურო ლექსი \*\*\* „კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“.

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ. ყველა ავტორისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმა ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში. ამ იდეის მატარებელი პოეტური ქმნილებები შეიძლება ჩავთვალოთ ერთი ციკლის ლექსებად და მათ ვუწოდოთ „ფარისის“ ციკლის ლექსები.

ნაშრომში ვსაუბრობთ იმის შესახებაც, თუ რომელი პოეტური ნიმუში შეგვიძლია, მივიჩნიოთ „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად. „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ გოეთეს ლექსი „მეტლე კრონოსს“, რომელიც მან 1774 წელს დაწერა. ლექსი გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია.

**საკვანძო სიტყვები:** პარალელური მოტივებისა, ლირიკული თანხვედრა.

ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, პარალელური მოტივების გათვალისწინება, რითაც ირკვევა ნაციონალური მწერლობის ზოგიერთი წყარო.

1827 წელს ეკერმანთან საუბრისას გოეთემ პირველმა დასვა მსოფლიო ლიტერატურის არსებობის საკითხი. გოეთემ შენიშნა, „მე გულმოდგინედ ვეცნობი სხვა ერების მონაპოვარს და სხვასაც ვურჩევ ასე მოიქცეს. დღეს ეროვნული ლიტერატურა ბევრს ვერაფერს ამბობს. დღის წესრიგში დგება მსოფლიო ლიტერატურა და ყველას ვაღიარებ ვალია დააჩქაროს ამ ლიტერატურის მეუღეების ეპოქა“ [გოეთე, 1988:125]. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავე 1827 წელს გოეთე წერს ლექსს სათაურით „მსოფლიო ლიტერატურა“. გოეთე მოუწოდებს პოეტებს:

„თქვენც ერთი ცის ქვეშ ხალხებისთვის აჟღერეთ ჩანგი,

ერთი საჩუქრით ახარეთ და ეფარეთ ფარად“ [გოეთე, 1972: 231].

ამდენად, საერთო ტენდენციები შეიძლება ახასიათებდეს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ და ამასთანავე, ერთი პოეტური სახე შეიძლება იქცეს ლიტერატურულ პარადიგმად.

ევროპული ლიტერატურული და სააზროვნო ტრადიციები არაერთგზის აისახა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, საკმაოდ ჭარბად დაიძებნება ლიტერატურული პარალელებიც. ხშირად ავლებენ პარალელს ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანსა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისს“ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილი უაღრესად ეროვნული პოეტია, თავისი შემოქმედების არსით იგი დგას ევროპულ მწერალთა გვერდით. „ამ ორი ნაწარმოების საერთო კულტურულ-ისტორიული ფონისა და შექმნის წინაპირობათა შესწავლა, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, როგორც ქართული, ისე პოლონური ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიისათვის“ [ვარდოშვილი, 2018: 59].

საქართველოში მიცკევიჩის „ფარისს“ პოეტის სიცოცხლეშივე იცნობდნენ. ამას შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ 1830 წლის პოლონეთის შეთქმულების დამარცხების შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს პოლონელი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების კრებებზე ხშირად კითხულობდნენ სოლომონ რაზმაძის მიერ რუსულიდან ქართულად შესრულებულ „ფარისის“ თარგმანს.

1829 წელს საქართველოში უკვე არსებობდა „ფარისის“ ორი რუსული თარგმანი მანასეინის და შჩსატნისა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ბარათაშვილს რუსული ენის მასწავლებელი დემენტიევი ხშირად უკითხავდა მიცკევიჩის „ფარისის“ რუსულ თარგმანებს.

მიჩნეულია, რომ „ფარისი“ იყო ბარათაშვილისათვის შთაგონების ერთ-ერთი წყარო, როდესაც იგი „მერანს“ წერდა. გარდა საერთო კულტურული ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. მაგალითად, ფარისი არაბულ ენაზე ნიშნავს მხედარს, ბარათაშვილის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ხელნაწერში შემონახულია „მერანის“ თავდაპირველი სათაური „თავგანწირული მხედარი“. „ბარათაშვილის „მერანი“ და მიცკევიჩის „ფარისი“ ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში შეიძლება დავუკავშიროთ „წმინდა მხედრის“ საკითხსაც, რომლის პირველსახეა წმ. გიორგი, რომელიც ევროპული კულტურიდან შემოდის ქართულ ქრისტიანობაში და რომელიც „წმინდა მხედრის“ უმაღლესი იდეალია, ხოლო შუა საუკუნეების რაინდულ იდეალებთან მიმართებაში შეგვიძლია, გარკვეული კუთხით, გავიხსენოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ან სენკევიჩის „ჯვაროსნები“ [ვარდოშვილი, 2018: 63].

„ფარისის“ ფილოსოფიური იდეა ასეთია: თავგანწირული მხედარი მიაქროლებს რაშს. გზად უამრავი წინააღმდეგობა ელობება, მაგრამ იგი ბედს არ ნებდება. მხედარი შეუერთდა მარადიულს და თვითონაც გაჰქრა მასში. აზრმა შეიცნო არსი, საბოლოოდ მან ჰპოვა ბედნიერება. ლექსს მიცკევიჩი ასე ასრულებს:

„რა კარგი არის მხრები ლაღად რომ გაშლილია!  
სამყაროს მკლავნი გავუწოდე ალერსიანად,  
ვგონებ, ჩავიკრა დედამიწა მკერდში მთლიანად!  
ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიექანება,  
სულ ზევით, ზევით - ცის გუმბათის თაღს ეტანება.  
ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,  
მეც ლაჟვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩავძირე სული“ [მიცკევიჩი, 1986: 170].

„მერანშიც“ თავგანწირული მხედარი მიაჭენებს რაშს. მისი მიზანია შთამომავლობისათვის უვალი გზის გაკვალვა. „ლექსი მუსიკალურია არა მარტო ალიტერაციით, მასში ისეთი აზრებია გადმოცემული, რომელსაც სიტყვა ვერ სწვდება. შავი ყორანი ბოროტი სულის სიმბოლოა, რომელიც მუდამ თან სდევს ბოროტ ზრახვებს. ბოროტ სულს პოეტმა შავი ფერი შეურჩია, მერანს კი ფერი არ აქვს, რადგან მისი წარმოდგენა არსებითი საგნის სახით შეუძლებელია. მისი ფერი სულის ფერია, ეთეროვანი, გამჭვირვალე“ [ვარდოშვილი, 2018: 65]. „მერანის“ ლოგიკური დასკვნა ასეთია:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს! [ბარათაშვილი, 1972: 52].

„მერანს“ აქვს მეორე მეტალოგიკური დასკვნაც, რომელიც უსასრულობის შეგრძნებას გვიტოვებს, პოეტი ლექსს ლაიტმოტივით ასრულებს.

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი“ [ბარათაშვილი, 1972: 52].

„ფარისის“ ლაიტმოტივი კი მიცკევიჩის ლექსში ასე იკითხება:

„მივქრი, უშიშრად ბილიკი ვკვალე,

თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!“ [მიცკევიჩი, 1986: 169].

1828 წელს დაწერა მიცკევიჩმა „ფარისი“, 1842 წელს დაიწერა ბარათაშვილის „მერანი“. მკვლევარი გ. ჯიბლაძე შენიშნავს, რომ „რენე ფრანსუა არმანმა „მერანის“ დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ დაწერა თავისი სახელგანთქმული „ჭენება“, რომელიც ძლიერ უახლოვდება ბარათაშვილის გენიალურ ლექსს. გვგონია, რომ სიული პრიუდომის ლექსი დაწერილია იმავე მოარულ თემაზე, როგორც ბარათაშვილისა“. [ჯიბლაძე, 1968: 407]. შეგვძლია ვიფიქროთ, რომ ფრანგი პოეტი იცნობდა მიცკევიჩის შედეგს, ან სხვა მის მსგავს პოეტურ ქმნილებას.

რენე ფრანსუა არმან პრიუდომის „ჭენებაში“ მხედარი მოუწოდებს თავის მერანს გააქროლოს იგი უსასრულობისაკენ, რათა მთელი ძალით შეიგრძნოს თავისუფლება. მხედარი მზადაა, რომ მერანის ქროლვასაც კი გაუსწროს მისმა ოცნებამ. ამიტომ, მოუწოდებს თავის მერანს, გადალახოს ყველა წინააღმდეგობა, რათა ეწვიოს უცნობ მხარეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რენე ფრანსუა არმან პრიუდომის „ჭენება“ დიდ მსგავსებას ავლენს არა მხოლოდ ბარათაშვილის „მერანთან“, არამედ მიცკევიჩის „ფარისთანაც“.

მსოფლიო პოეზიიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილი უნგრელი ავტორის შანდორ პეტეფის ლექსმა „მერანი“ („Az En Pegazusom“). პეტეფი, როგორც პოეტი და მოქალაქე გამოირჩეოდა მეზრძოლი სულისკვეთებით. იგი უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 1848 წელს უნგრეთის რევოლუციაში მონაწილეობას ღებულობდნენ პოლონელი პატრიოტებიც, რომლებიც 1830 წელს პოლონეთის აჯანყებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ პეტეფი კარგად იცნობდა მიცკევიჩის პოეზიას.

1847 წელს დაწერა შანდორ პეტეფმა თავისი „მერანი“. „უნგრულ“ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მესიანიზმის მოტივი მიცკევიჩისა და პეტეფის პოეტურ ქმნილებებში იმდენად მსგავსია, რომ გავლენის წყარო აუცილებლად მიცკევიჩის „ფარისი“

უნდა ყოფილიყო“ [ვარდოშვილი, 2022: 81]. ამას ადასტურებს ისიც, რომ ცნობილი უნგრელი მწერალი ანტალ ჰიდაში წერს: „1848 წლის ივლისში, პოლონურ გაზეთში „Demokrata polska“ სტანისლავ ვორცელმა დაბეჭდა წერილების სერია სათაურით: „უნგრეთი და პოლონეთი“, რომლებშიც მოუწოდებდა პოლონელებსა და უნგრელებს ერთად ებრძოლათ თავისუფლების მოსაპოვებლად. უნგრელებს მისასალმებელი მოწოდებით მიმართა აგრეთვე დიდმა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა“ [ჰიდაში, 1961: 278].

შანდორ პეტეფის მერანი თვალუწვდენელ ლამაზ ტრამალებში მიაქროლებს თავის მხედარს. ელვასაც კი უსწრებს მისი სიჩქარე, რადგან პუშტისაკენ ისწრაფვის, სადაც მისი სამშობლოა. მერანი მიჰქრის და ერთი ნიშანიც კმარა, რომ ქვეყნის კიდე გადაატაროს, უსასრულობაში დაინთქას, ირეალურში გადავიდეს. ჭენებით არ იღლება მერანი, რადგან წინ დიდი გზა აქვს გასავლელი მიზნის მისაღწევად. პეტეფი მოუწოდებს თავის მერანს:

„გასწი,  
ნაპრალზე გადამატარე,  
ვერ მოგეწიოს  
ქროლვით ვერავინ.  
და თუ გზად მტერი  
გადაგელობოს,  
მტერი არ დაგრჩეს  
გადუთქერავი“ [პეტეფი, 1978: 52].

თავისი შინაარსით, მხატვრული სახეებით, სიმბოლური დატვირთვით აღნიშნულ ლექსებს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით.

მიცკევიჩი: „თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე [მიცკევიჩი, 1986: 167].

ბარათაშვილი: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო“ [ბარათაშვილი, 1972: 51].

პეტეფი: „ გასწი, ნაპრალზე გადამატარე“ [პეტეფი, 1973: 52].

საზოგადოდ, მერანის სახე პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ჩვენს მიერ განხილულ ლირიკულ შედეგებში, ასევე ზოგადად, მსოფლიო პოეზიაში. ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ, ავტორთათვის პოეტური ხატი მერანი სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედეგებს.

მკვლევარი ი. კენჭოშვილი შენიშნავს, „რომ ევროპული ლიტერატურის ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა ლირო-ეპიური პოემის წარმოქმნა. ეპოქის ისტორიული შინაარსი ამ ჟანრულ სახეობაში გატარებულია პიროვნულ პრიზმაში: ხდება პოეტის პიროვნების ახალი

აღმოჩენა. მკითხველის წინაშე, კლასიკური პოემის ობიექტური სურათის ნავლად, დადგა არა ერთი, არამედ ორი ობიექტი: ეპოქის შინაარსი და პოეტის პიროვნება.“ [კენჭოშვილი, 1974: 100].

აღსანიშნავია, რომ მქროლავი რაშის სახეს ვხვდებით ლერმონტოვის „ჰაკი-აბრეკში“. „ფარისის“ ლიტერატურულ პარადიგმას ვხვდებით ასევე ქართველი რეალისტი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლექსში „ლურჯა“. პოეტი მიმართავს თავის მერანს, რომ მასაც ადამიანივით ჰქონია გრძნობა. ნიავს ჰგავს მისი ქროლვა, როდესაც ბარიდან მთებისაკენ მიჰქრის. კლდეებზეც მიჰქრის პოეტის რაში, უგზო გზას ჰკვალავს. პოეტს გულიდან დარდსა და ვარამს ამორებს. არწივის ფრთებს ასხამს პოეტის ფიქრებს მისი ქროლვა. უდაბურ ადგილს აყვარებს პოეტს. შეუცნობ მხარეში მიაქროლებს მერანი თავის მხედარს, უმთვარო და უმზეო სივრცისაკენ.

„კლდეზედაც კარგა მიჰფრინავ,  
უგზო გზასა ჰქმნი გზიანსა,  
გულით მაშორებ ვარამსა,  
ვარამსა ათასფრიანსა  
არწივის ფრთეებს შეასხამ  
ჩემს ფიქრსა მრავალ-ფრთიანსა.  
მაყვარებ უდაბურს ადგილს.  
ადგილს უმთვაროს, უმზეოს,  
ჩვენ რომ ვეძახით მზიანსა“ [ვაჟა-ფშაველა, 1960: 56].

აქ სამყაროს შეცნობის ფაუსტური პარადიგმაც იკვეთება, რომ ადამიანის გონებას არ შეუძლია ბოლომდე ჩასწვდეს ბუნების კანონზომიერებებს. ლექსი, რა თქმა უნდა, ეხმიანება ბარათაშვილის „მერანსაც“, დაწერილია 1890 წელს და მასში სიკეთისა და უსაზღვროებისკენ სწრაფვის იდეაა წარმოდგენილი, როგორც „ფარისი“ ციკლის“ სხვა ლექსებში.

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში \*\*\* „კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“ ჰაინრიხ ჰაინე წერს:

„კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი,  
კვლავ მიმაქროლებს ჩემი მერანი;  
თითქოს ამ სატრფოს ცეცხლიცა ვცანი,  
სატრფოს ციხე და გულის ძგერანი,  
კვლავ დამეუფლა ჯეელის ჯანი,  
კვლავ მიმაქროლებს ჩემი მერანი,  
კვლავ ბრძოლის ჟინი მომიცავს მძლავრი,

მესმის მეგობრის გულის ძგერანი“ [ჰაინე, 1978: 509].

ამ შემთხვევაში პოეტის რომანტიკული განცდა და სატრფოს ხატება ერწყმის ბრძოლის სურვილსა და ჟინს. ეს ლექსში შეიძლება გარკვეული კუთხით მივაკუთვნოთ „ფარისის“ თემაზე შექმნილ ლექსთა რიგს.

ზოგ შემთხვევაში მერანის სახე დაკავშირებულია არა ზოგადსაკაცობრიო ტენდენციებთან, არამედ პოეტის პირად, რომანტიკულ განწყობასთან. ამ მხრივ საინტერესოა გოეთეს ლექსი „შეხვედრა და განშორება“.

„ათრთოლდა გული, ვთქვი: ცხენი ჩქარა!

და გავაქროლე დაუზოგავად,

მიწას საღამოს ბინდი ეფარა,

ლურჯ მთებს წყვილია ჰლებავდა შავად...

წაველ, დაგტოვე, შენ შემომხედე,

ცრემლით აგვესო თვალი ვნებული,

ღმერთებო, აი ბედნიერება -

გიყვარდეს, იყო შეყვარებული“ [გოეთე, 1952: 22].

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ. მართებული იქნება, თუ აღნიშნულ პოეტურ ქმნილებებს გავაერთიანებთ და ვუწოდებთ მათ „ფარისის“ ციკლი“ ლექსებს.

როგორც აღვნიშნეთ, მიცკევიჩმა „ფარისი“ დაწერა 1828 წელს. 1829 წელს გოეთესთან სტუმრად მყოფი მიცკევიჩი დიდ მოაზროვნეს მოუთხრობს „ფარისის“ შეთხზვის ამბავს. „ერთხელ პეტერბურგში წვეულებიდან შინ მიმავალ პოეტს თავს დასტყდომია ავდარი. იგი შემხტარა ეტლში და მეეტლისათვის შეუძახნია, რაც შეიძლება ჩქარა გაერეკა ცხენები. სწრაფმა ჭენებამ, ქარის ქროლვამ, ფლოქვების თქარა-თქურმა აღძრა თურმე მის არსებაში „ფარისის“ იდეა. სახლში დაბრუნებული კალმოსანი მისჯდომია მაგიდას და მთელი ღამე უმუშავია. მიცკევიჩის გამთენიის ხანს დაუსრულებია „ფარისის“ წერა“ [გიორგაძე, 1996: 12]. უდავოა, რომ მიცკევიჩი გოეთეს თავის შედევრსაც გააცნობდა. პირველი, მნიშვნელოვანია, რომ მიცკევიჩმა მოუყვა გოეთეს „ფარისის“ შეთხზვის ამბავი და მეორე, 1830 წელს, ეკერმანთან საუბრისას გოეთე აღნიშნავს, „კლასიკური და რომანტიკული პოეზიის გაგება, რაც ამჟამად მთელს ქვეყანას მოედო და ამდენ დავას, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თავდაპირველად ჩემი და შილერის თვალსაზრისში იღებს სათავეს“ [გოეთე, 1988: 213].

კონკრეტულ ნიმუშებზე საუბრისას ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ 1774 წლის 10 ოქტომბერს გოეთეს მიერ დაწერილ

ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშს „მეეტლე კრონოსს“. გოეთემ ლექსი დაწერა, როდესაც საფოსტო ეტლით ბრუნდებოდა მაინის ფრანკფურტში, საიდანაც ორი კვირის წინ კარლსრუემდე გააცილა მასთან სტუმრად ჩამოსული ფრიდრიჰ გოტლიბ კლოპშტოკი. „ჭაბუკ გოეთეს ეს „უმშვენიერესი ლექსი“, როგორაც მას კორფი მიიჩნევს, - მე ვიტყვოდი მისი „მერანი“ - გარკვეული თვალსაზრისით, გოეთეს მთელი ლირიკის კლასიკურად ტიპიურ ნიმუშად ჩაითვლება“ [ჯინორია, 1981: 77].

ლოგიკური იქნება, თუ „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად მივიჩნევთ გოეთეს ლექსს „მეეტლე კრონოსს“. ეტლში მჯდომი პოეტი მიმართავს მეეტლეს იჩქაროს, მოეშვას ჩორთით რახრახს, ზანტად სიარულს, გასწიოს სწრაფად და ეტლი შიგ ცხოვრების შუაგულში შეაგრილოს. ნუ შეუშინდება წინააღმდეგობასა და აღმართს. ასულის ცხოველმყოფელი მზერა იპყრობს პოეტის ყურადღებას. პოეტს სურს, ქალმა მასაც არგუნოს გულითადი მზერა. ეტლი თავქვე ეშვება. მზე ჩადის. პოეტი მიმართავს მეეტლეს „მიმაგდე ქვესკნელს, ჯოჯოხეთის უკან კარიბჭეს“. პოეტი მოუწოდებს მეეტლეს ჩაჰბეროს თავის საყვირს, ჯირითით გასწიოს, რომ მძლეთამძლენი ფეხზე წარმოუდგენს მას.

ლექსის ძირითადი იდეა ვფიქრობთ, ამ სტროფებშია გადმოცემული:

„აბა უჩქარე, ჰა, ნუ მოეშვი!

იმედით გასწი, ხალისიანად.

ლაღად შორს მალლა თვალი მოავლე

მთიდან მთამდე

ცხოვრებას ირგვლივ.

სუფევს იქ გონი დაუსაბამო,

უკვდავ სიცოცხლის წინათმგრძნობელი“ [ჯინორია, 1981: 23].

პოეტს სურს, რომ მეეტლემ ლაღად მოავლოს მთიდან მთამდე ცხოვრებას თვალი, სადაც დაუსაბამო გონი სუფევს, უკვდავი სიცოცხლის წინამგრძნობელი. ამ სიტყვებში ჩანს, როგორ აღიქვამს გოეთე სამყაროს. ამასთანავე, აღიარებს სულის მარადიულობასა და უკვდავებას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმები ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში. შეგვიძლია ისინი გავაერთიანოთ ერთი სათაურის ქვეშ და ვუწოდოთ მათ „ფარისის“ ციკლის“ ლექსები. „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად კი მივიჩნიოთ გოეთეს ლექსი „მეეტლე კრონოსს“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, სიახლეა ლიტერატურათმცოდნეობისათვის.



## ლიტერატურა:

1. **ბარათაშვილი ნ.**, - თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1972. 235გვ.
2. **გიორგაძე ე.**, - როგორ დაიწერა „მერანი“. გამომცემლობა „ინტელექტუალური თაობა“. თბილისი. 1996. 16 გვ.
3. **გოეთე ი.**, - გოეთეს საუბრები ეკერმანთან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1988. 268 გვ.
4. **გოეთე ი.**, - ლექსები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 267 გვ.
5. **გოეთე ი.**, - რჩეული ლირიკა. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1972. 300 გვ.
6. **ვარდოშვილი ე.**, - ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2018. 202 გვ.
7. **ვარდოშვილი ე.**, - ქართულ - ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2022. 202 გვ.
8. **ვაჟა-ფშაველა,** - თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1960. 906 გვ.
9. **კენჭოშვილი ი.**, - ქართულ - ევროპული პოემების პარალელები. ლიტერატურული ურთიერთობები. ტ. V. გვ. 89-102 . გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1974.
10. **მიქაძე მ.**, ლიტერატურული ალუზიები და ენობრივი პარალელები ბარათაშვილის „მერანისა“ და მიცკევიჩის „ფარისის“ მიხედვით, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №24, 2020, გვ. 64-71, <https://enadakultura.com>
11. **მიცკევიჩი ა.**, რჩეული თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 731 გვ.
12. **პეტეფი შ.**, - რჩეული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 219 გვ.
13. **ჯიბლაძე გ.**, - ბარათაშვილის პოეტური გენია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო.“ თბილისი. 1968 487 გვ.
14. **ჯინორია ო.**, - გერმანული ფილოსოფიური ლირიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1981. 122 გვ.
15. **ჰაინე ჰ.**, - რჩეული თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1978. 974 გვ.
16. **ჰიდაში ა.**, - შანდორ პეტეფი. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი. 1961. 318 გვ.

**Eka Vardoshvili**

Tbilisi Iv. JavakhiSvili State university

### **Lyrical coincidences in the world poetry**

#### **Abstract**

One of the important tasks of the literary studies is to take parallel motives into account. Thus, we will also find out some sources of national literature.

In 1828, Mickiewicz wrote "Faris". It is believed that "Faris" was one of the sources of inspiration for Baratashvili when he wrote his "Merani". Except for common cultural and historic background, concrete facts and attitude of the writers, these two poems have a number of poetic coincidences. "Pegasus" by the famous Hungarian poet Sandor Petofi is written directly under the influence of "Faris". We can also consider "Gallop" by Sully-Prudhomme, "Blue Horse" by Vazha-Pshavela and an untitled poem by Heinrich Heine \*\*\*"My young health has returned to me" as lyrical examples created on the theme of "Faris".

All poems express man's aspiration for goodness, freedom and infinity. Merani's face is a poetic icon for all authors, they create their masterpieces with a similar artistic sense.

It should be noted that the literary paradigm of "Faris" by Adam Mickiewicz is revealed in the example of the world poetry. Poetic creations carrying this idea can be considered as poems of one Cycle and they can be named "Faris" Cycle poems.

In the paper, we will also review which poetic sample can be considered as the literary basis of the "Faris" Cycle poems. We can consider the poem by Goethe "To Coachman Chronos", which he wrote in 1774, as the literary basis of "Faris" Cycle poems.

We think that such an approach to the matter is a novelty for literary studies.